ნანა ციხისთავი
ისტორიის დოქტორი, ახალი უმაღლესი
სასწავლებლის აფილირებული ასოცირებული პროფესორი

კულტურათაშორისი დიალოგი თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებისა და საფრთხეების საპირწონედ

ნანა ციხისთავი
ისტორიის დოქტორი, ახალი უმაღლესი
სასწავლებლის აფილირებული ასოცირებული პროფესორი

კულტურათაშორისი დიალოგი თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებისა და საფრთხეების საპირწონედ

ანოტაცია

გლობალური პანდემიის–კოვიდ 19–ის პროცესში, ფაქტობრივად, მსოფლიო ახალი ათვლის წერტილიდან იწყებს ფუნქციონირებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, საზოგადოება, სახელმწიფო აბსოლუტურ სახეცვლილებას განიცდის და ახალ რეალობაში განაგრძობს სვლას. გამომდინარე აქედან, იცვლება საზოგადოებაში არსებული ადრინდელი მექანიზმები და ჩნდება ახალი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გარემო ფაქტორების გავლენიდან გამომდინარე გაჩნდა. სწორედ ამიტომ, უპრიანია, დავფიქრდეთ მნიშვნელოვანი დარგის – კულტურისა და ტურიზმის განვითარების ტენდენციებზე.

კულტურის განათლება ახალი პრიორიტეტია, როგორც კულტურის, ისე განათლების სფეროში. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიული წარსულითა და აწმყოთი განპირობებული კულტურის ფენომენი და მისი განვითარების შესაძლებლობები, მისი მრავალმხრივობა, მრავალპერსპექტიულობა, მისი მნიშვნელობა, გაიაზრონ კულტურის დარგების გავლენა საზოგადოებაზე, სწორი ორიენტირებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება და სამოქალაქო საზოგადოების კულტურული დონის ამაღლება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ჩვენი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა არა მარტო მოსახლეობის უმრავლესობისა, არამედ ეთნიკური ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობისაც კულტურული მრავალფეროვნების იდეის უზრუნველსაყოფად. ასევე ძალზედ აქტუალურია სამუზეუმო განათლების პრიორიტეტის წინა პლანზე წამოწევა და მისი დაკავშირება უნივერსიტეტებთან. სწორედ კულტურული ტურიზმი გვესახება ამ მნიშვნელოვანი საკითხის ხელშემწყობ ფაქტორად.

ინტერესი კულტურული მრვალფეროვნებისადმი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. კულტურული მრავალფეროვნება თანამედროვე მსოფლიოს ერთ—ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი და თანამედროვე ცხოვრების რეალობაა. დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია ქვეყანა, სადაც თუნდაც ერთი კულტურული უმცირესობა არ არსებობდეს. კაციობრიობა არასდროს ყოფილა ერთგვაროვანი. დღესდღეობით კი გლობალიზაციის პროცესმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და ეს მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა. დღესდღეობით, მსოფლიოში ქვეყანათა უდიდესი უმრავლესობა არის კულტურულად მრავალფეროვანი.

დღეს, მრავალი გამოწვევის, კერძოდ, რელიგიური გამოწვევების ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობისათვის სწორი ორიენტირების მიცემა.

ინტერკულტურული დიალოგი კულტურული განათლების მნიშვნელოვანი ასპექტია. ინტერკულტურული

დიალოგის გაგებაზე დაფუძნებული განათლება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა კულტურისა და პოლიტიკური შეხედულებების მქონე პიროვნებებს, ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის ღია და პატივისცემით ურთიერთობას. მის მიზნებს შორისაა სხვადასხვა პერსპექტივებისა და პრაქტიკის ღრმა გააზრება; მონაწილეობის ზრდა და არჩევანის თავისუფლება და შესაძლებლობა; თანასწორობა და შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა.

კულტურის მემკვიდრეობის ახლებური ხედვა ერწყმის შერიგების, ტოლერანტობისა და პლურალიზმის დემოკრატიულ კულტურას. ასეთი დამოკიდებულება განაპირობებს ეროვნულ სიამაყესა და წარსულზე დაფუძნებული სისტემის ჩანაცვლებას უფრო შემრიგებლური და ტოლერანტული მიდგომით. ეს ხელს შეუწყობს დემოკრატიულ პროცესებს საზოგადოებაში. ამ მხრივ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, ასევე, ხელს შეუწყობს შემრიგებლურ პროცესებს ქვეყნებში, სადაც დღესაც ადგილი აქვს შიდა და გარე კონფლიქტებს, ანუ ნაცვლად გაღვივებისა – კონფლიქტების მოგვარებას.

საკვანძოსიტყვები: *კულტურათაშორისიდიალოგი, რასიზმი, ქსენოფობია, ეთნოცენტრიზმი, დისკრიმინცია, კულტურული სხვაობები, ინტერკულტურული სწავლება, სტრეოტიპები, მულტიკულტურალიზმი, კულტურის განათლება.*

გლობალური პანდემიის–კოვიდ 19–ის პროცესში, ფაქტობრივად, მსოფლიო ახალი ათვლის წერტილიდან იწყებს ფუნქციონირებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, საზოგადოება, სახელმწიფო აბსოლუტურ სახეცვლილებას განიცდის და ახალ რეალობაში განაგრძობს სვლას. გამომდინარე აქედან, იცვლება საზოგადოებაში არსებული ადრინდელი მექანიზმები და ჩნდება ახალი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გარემო ფაქტორების გავლენიდან გამომდინარე გაჩნდა. სწორედ ამიტომ, უპრიანია, დავფიქრდეთ მნიშვნელოვნი დარგის – კულტურისა და ტურიზმის განვითარების ტენდენციებზე.

მრავალი საუკუნის მანძილზე სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ქედმაღლურად უყურებდნენ და არასრულფასოვნად მიიჩნევდნენ ერთმანეთს განსხვავებული ენის, რელიგიის, ტრადიციების, ჩაცმულობის, კანის ფერის და სხვა მახასიათებელთა გამო. ბევრ ენაში უცხოს, განსხვავებულის აღმნიშვნელი სიტყვები, ხშირად, დამაკნინებელ, უარყოფით განწყობას გამოხატავს, ხაზს უსვამს საკუთარ უპირატესობას სხვასთან შედარებით. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია „ბარბაროსი“, რომელსაც ძველი ბერძნები სხვა, მათთვის გაუგებარ ენაზე მეტყველ ხალხს უწოდებდნენ, ამავე დროს, აღნიშნავდნენ მათ "არაკულტურულობას", "არაცივილიზებულობას" და "ჩამორჩენილობას". განსხვავებული კულტურის, ეთნოსის ან რასისადმი მტრული დამოკიდებულება რასიზმისა და ქსენოფობიის საფუძველია, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა სახის დისკრიმინაციისა და კონფლიქტის მიზეზს წარმოადგენს. განსხვავებულის მიმართ შეუწყნარებლობა უმთავრესი დაბრკოლებაა სხვადასხვა კულტურის ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.[1]

ინტერკულტურული პრინციპები მოითხოვს კულტურული სხვაობების აღიარებას, მათ პატივისცემას, ტოლერანტობას, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას, დისკრიმინაციის აღმოფხვრას. სხვადასხვა კულტურულ იდენტობებს შორის კომუნიკაცია შესაძლოა პარადოქსული აღმოჩნდეს, რადგან კულტურათშორისი ურთიერთობა გულისხმობს იმის აღიარებას, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ჰგვანან ერთმანეთს და განსხვავდებიან კიდეც ერთმანეთისგან. ამ კონტექსტში, ოულეტის (1991) თანახმად, ინტერკულტურული სწავლება ხელს უწყობს: კულტურების უკეთ შეცნობას თანამედროვე საზოგადოებაში; სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის

დიდ შესაძლებლობებს; ღია დამოკიდებულებას კულტურული მრავალფეროვნებისადმი; სოციალურ ურთიერთობებში მონაწილეობის უკეთეს შესაძლებლობებს, კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის აღიარებას.

ინტერკულტურული სწავლების მთავარი მიზანია, ადამიანებს შორის კომუნიკაციის და ურთიერთობების ხელშეწყობა. გუერას (1993) აზრით, ინტერკულტურული სწავლების არსებითი პრინციპებია: პლურალიზმის ცნების სწავლება ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში (მიუხედავად იმისა, სწავლობენ თუ არა აღნიშნულ დაწესებულებაში უმცირესობები) უმცირესობების მიერ საკუთარი კულტურული შტრიხების შენარჩუნება; ყველა კულტურის თანაბრად დაფასება; წარმატების მისაღწევად უმრავლესობის და უმცირესობებისთვის მხარდაჭერის იდენტურად უზრუნველყოფა.

ინტერკულტურული სწავლების ამოსავალი წერტილია "სხვა". ინტერკულტურული სწავლება მუდმივად ეჭვის ქვეშ აყენებს სტერეოტიპებს და ხელს უწყობს სიახლის, უცხოს და შეუცნობლის მიმართ ღია დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში მუდმივად ახალ აღმოჩენებს აკეთებენ, ურთიერთობის პროცესში ხდება ადამიანის პიროვნული, სოციალური და გლობალური თვითრეალიზება. საგანმანათლებლო სფერო მიზნად ისახავს გაიზარდოს ახალგაზრდების შესაძლებლობები საზოგადოებრივი ფუნქციების შესასრულებლად. ეფექტური ინტერკულტურული განათლებისთვის საკმარისი არ არის ამ ტერმინის განსაზღვრა და ჩამოყალიბება კანონმდებლობაში. ყველაზე მთავარი ის არის, რომ რეალურად განხორციელდეს ინტერკულტურული სწავლების პროცესი, განვითარდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ტრეინინგები აღნიშნულ სფეროში და საბოლოოდ, საზოგადოებაში მოხდეს გაცნობიერებული ცვლილება. აღნიშნული პროცესი, ფაქტობრივად, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან მრავალკულტურულ საზოგადოებაში ადამიანებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთის მხარდაჭერა. ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსი ედგარ ფორი (1908–1988) გვახსენებს, რომ "სწავლება ნიშნავს ადამიანს დაეხმარო ისწავლოს ცხოვრება".

თუ საგანმანათლებლო საქმიანობით ადამიანებს დავანახებთ კულტურულ სხვაობებს და მსგავსებებს, ამავდროულად თუ დავარწმუნებთ, რომ ყველა კულტურას აქვს განვითარების უფლება, შედეგად მივიღებთ მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. საგანმანათლებლო სისტემაში გამორიცხული უნდა იყოს სეგრეგაცია და მაქსიმალურად უნდა განვითარდეს ახალი, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ცნობიერება. ინტერკულტურული განათლება საგანმანათლებლო სისტემის და მთელი საზოგადოების ნაწილი უნდა გახდეს, თუკი ჩვენს ინტერესებში შედის ყოველი ადამიანის შესაძლებლობების რეალიზება. [2]

ამრიგად, თქვენი ყურადღებას შევაჩერებთ დიალოგის როლსა და მნიშვნელობაზე, როდესაც ვეხებით ზოგადად კულტურის ფუნქციას, მის ხვედრით წილს თანამედროვე მსოფლიოს რთულ ვითარებაში.

კულტურული განსხვავებების ცოდნა გვაზღვევს ქსენოფობიური და რასისტული განწყობებისაგან, რაც არაერთხელ გამხდარა მსოფლიოს ყველაზე სისხლისმღვრელი და ტრაგიკული მოვლენების საფუძველი. თანამედროვე გლობალურ სამყაროში, როდესაც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ყოველდღიურად ხვდებიან ერთმანეთს სწავლის, მუშაობისა თუ დასვენების დროს, ეს ცოდნა წარმატებული თვითდამკვიდრების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის, აღქმა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რადგან საქართველო ყოველთვის იყო და დღესაც არის სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის მქონე ადამიანების სამშობლო.

კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობის აღიარება და მისი შენარჩუნების აუცილებლობა თანამედროვე სამყაროსთვის გამოწვევაა. დღეს, ტექნიკის სწრაფი განვითარებისა და გლობალიზაციის

გამო, აუცილებელია კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე ზრუნვა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იუნესკომ მსოფლიო მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, შექმნა სპეციალური ნუსხა. 2001 წელს კი მიიღო უნივერსალური კულტურული მრავალფეროვნების დეკლარაცია. 2002 წელს გაერომ 21 მაისი კულტურული მრავალფეროვნების დღედ გამოაცხადა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა ამ დღეს განსხვავებულად, თუმცა ერთნაირი პათოსით აღნიშნავს. კულტურულ მრავალფეროვნებას ხშირად მულტიკულტურალიზმსაც უწოდებენ. მულტიკულტურალიზმი ნიშნავს კულტურის მრავალფეროვნების აღიარებას, განსხვავებულის პატივისცემას, მის დაფასებასა და მხარდაჭერას.

კულტურა ადამიანისათვის ერთგვარი სათვალეა, რომლის საშუალებითაც ის უყურებს და აფასებს სხვებს. ძირითადად ადამიანი საკუთარ კულტურას აღიქვამს, როგორც ნორმას, წესს. შესაბამისად, სხვას – „არანორმალურად“ და „უწესოდ“ მიიჩნევს. ადამიანები ხშირად განსჯიან სხვებს იმიტომ, რომ მათგან განსხვავებულები არიან. ხშირია „კულტურული შოკი“ და კონფლიქტები. მულტიკულტურული საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული მრავალფეროვნების აღიარება და დაფასება, რაც თანაცხოვრებისათვის აუცილებელია. ჩვენს საზოგადოებაში მრავალფეროვნებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ერთ-ერთ მაგალითად ტრადიციული ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა შეიძლება ჩაითვალოს. [3]

მსოფლიოს ხალხებმა, რომ იარსებონ, საჭიროა გამოავლინონ შემოქმედებითი ძალები და საუკუნეებს გადასცენ თავიანთი ისტორიის კვალი. კულტურული მემკვიდრეობა ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას, აერთიანებს რა წარსულს, აწყმოსა და მომავალს წარმოადგენს განვითარების საფუძველს. კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სოციალური მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან. თანახმად საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა დასკვნისა, საქართველოში ტურიზმის სახეების განვითარების კუთხით კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. ტურიზმის ამ მიმართულების მიზანია ტურისტული ცენტრების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება შემეცნებითი მიზნით. ტურისტული ინტერესის ობიექტებს კი წარმოადგენენ მუზეუმები, ბუნებრივი ძეგლები და ლამაზი ლანდშაფტები. კულტურული ტურიზმის მნიშვნელობა ხასიათდება რამდენიმე კომპონენტით, გარდა ეკონომიკური და სოციალური სარგებლისა იგი ახდენს ქვეყნის ტურისტულ იდენტიფიცირებას, ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ადამიანებს შორის ჰარმონიისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

კულტურა ისტორიის მანძილზე აღიქმებოდა და განიხილებოდა, როგორც ელიტარული, განსაკუთრებული საზოგადოებრივი ფენის შემოქმედების ან მოხმარების სფეროდ და ნაკლებად იყო გააზრებული, როგორც ეკონომიკურად მომგებიანი საქმიანობა ან ბიზნესი. კულტურისადმი მსგავსი დამოკიდებულება დღესაც გრძელდება და ძირითდად შემოიფარგლება ესთეტიკური ღირებულების მინიჭებით და განსხვავებით დასავლეთის ქვეყნებისაგან მოკლებულია ეკონომიკურ ხედვას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცნება – კულტურა ეკონომიკური განვითარების დატვირთვასაც იძენს.

კულტურის სფერო, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წყარო, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც ხელოვნება ისტორიის უძველესი პერიოდიდან დაწყებული, წარმოადგენს ქართული ეროვნულობის, ტრადიციულობის მახასიათებელს, მსოფლმხედველობის თუ ცნობიერების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს, სადაც დღესაც, კულტურული თვითმყოფადობა საზოგადოების ცნობიერების ორგანული ნაწილია.

კულტურულმა ტურიზმმა შეიძლება იარსებოს გარკვეულ სივრცით გარემოში, ადგილის ისტორიულ — კულტურული პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხარჯზე. მის ბაზაზე ჩამოყალიბებულ

პარტნიორობას კი ექნება ტერიტორიული, ადგილობრივი (ლოკალური), რეგიონთშორისი და ინტერნაციონალური ხასიათი.

კულტურის განათლება ახალი პრიორიტეტია, როგორც კულტურის, ისე განათლების სფეროში. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიული წარსულითა და აწმყოთი განპირობებული კულტურის ფენომენი და მისი განვითარების შესაძლებლობები, მისი მრავალმხრივობა, მრავალპერსპექტიულობა, მისი მნიშვნელობა, გაიაზრონ კულტურის დარგების გავლენა საზოგადოებაზე, სწორი ორიენტირებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება და სამოქალაქო საზოგადოების კულტურული დონის ამაღლება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ჩვენი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა არა მარტო მოსახლეობის უმრავლესობისა, არამედ ეთნიკური ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობისაც კულტურული მრავალფეროვნების იდეის უზრუნველსაყოფად. ასევე ძალზე აქტუალურია სამუზეუმო განათლების პრიორიტეტის წინა პლანზე წამოწევა და მისი დაკავშირება უნივერსიტეტებთან. სწორედ კულტურული ტურიზმი გვესახება ამ მნიშვნელოვანი საკითხის ხელშემწყობ ფაქტორად.

კულტურათაშორისი კომუნიკაციის კონცეფცია შემოიღო 1950–იან წლებში ამერიკელმა კულტურულმა ანთროპოლოგმა ედვარდ ჰოლმა. ამ კონცეფციით „იდეალური მიზანი, რომლისკენაც ადამიანი უნდა იბრძოდეს, არის ის, რომ თავისი სურვილით მოერგოს მის გარშემო არსებულ სამყაროს მაქსიმალურად და რაც შეიძლება ეფექტურად“. იგი თავდაპირველად ინტერკულტურული კომუნიკაციის აღსაწერად გამოიყენებოდა, როგორც ე.წ. კულტურის კლასიკური გაგება. კულტურის დინამიური გაგება ფოკუსირებულია კულტურული სისტემის შეცვლის შესაძლებლობებზე, კონკრეტული სოციალური სიტუაციიდან გამომდინარე. კულტურათაშორისი კომუნიკაციის კვლევების მნიშვნელობა იზრდება გლობალიზაციის პროცესებთან, მათ შორის უფრო ინტენსიურ მიგრაციასთან დაკავშირებით. როგორც სამეცნიერო დისციპლინა, კულტურათაშორისი კომუნიკაცია საწყის ეტაპზეა და გამოირჩევა ორი დამახასიათებელი ნიშნით: გამოყენებითი ხასიათი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს კომუნიკაციას სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის, შეამციროს კონფლიქტური პოტენციალი და ინტერდისციპლინურობა.[4]

ფაქტია, რომ კულტურა არის ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა ფორმის შერწყმა. ეს არის "კოდების" ერთგვარი კომბინაცია, რომელიც მეტწილად განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, მასზე მენეჯერულ გავლენას ახდენს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ განსხვავებული ეთნოსისა და ეროვნების ადამიანისათვის გასაგებად, პირველ რიგში, საჭიროა შეისწავლოს მისი ქვეყნის ან ეროვნების კულტურული მახასიათებლები.

ცნობილმა ფილოსოფოსმა – კანტმა თქვა, რომ თანაბრად მნიშვნელოვანია განათლების კულტურის გათვალისწინება. იგი სინანულით აღნიშნავდა, რომ სამეცნიერო და ტექნოლოგიური წინსვლა ნახტომივით მიმდინარეობს. მისი უკმაყოფილება ემყარება არა პროგრესის, როგორც ასეთის უარყოფას, არამედ იმ ფაქტს, რომ ზნეობა არ ეწინააღმდეგება მის განვითარებას.[5]

ამრიგად, კულტურა და კულტურათშორისი კომუნიკაცია განუყოფლად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც პრაქტიკაში ყოველთვის უნდა იქნას გათვალისწინებული.

ინტერესი კულტურული მრვალფეროვნებისადმი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. კულტურული მრავალფეროვნება თანამედროვე მსოფლიოს ერთ–ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი და თანამედროვე ცხოვრების რეალობაა. დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია ქვეყანა, სადაც თუნდაც ერთი კულტურული უმცირესობა არ არსებობდეს. კაციობრიობა არასდროს ყოფილა ერთგვაროვანი. დღესდღეობით კი გლობალიზაციის პროცესმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და ეს მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა. დღესდღეობით მსოფლიოში ქვეყანათა უდიდესი უმრავლესობა არის კულტურულად მრავალფეროვანი. ბოლო შეფასებების მიხედვით, მსოფლიოს დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიცავს დაახლოებით 600 ცოცხალ ენათა ჯგუფს და 5000 ეთნიკურ ჯგუფს.

ძალიან მცირე რაოდენობის ქვეყნებში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოქალაქეები იზიარებენ ერთი და იმავე ენას, მიეკუთვნებიან ერთი და იმავე ეთნიკურ თუ ეროვნულ ჯგუფს. მნიშვნელოვანია, რომ მრავალფეროვნება ბადებს პოტენციურად განსხვავებულ კითხვების მთელ სერიას. უმცირესობები და უმრავლესობები სულ უფრო და უფრო მეტად უპირისპირდებიან ენობრივ უფლებებთან, რეგიონულ ავტონომიასთან, პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან, სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებში. მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებული პრობლემატიკა XX საუკუნის და ჩვენი თანამედროვეობის ერთ—ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა, რომელიც ინტერესს იმსახურებს. საერთაშორისო სისტემაზე ზედაპირული დაკვირვებაც კი საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ თანამედროვე ეპოქის სახელმწიფოთა უმრავლესობა კულტურულად ჰეტეროგენული. თანამედროვე პოლიტიკაში და პოლიტიკურ ფილოსოფიაში მულტიკულტურალიზმის იდეა მდგომარეობს შემდეგში: გავიგოთ თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებას.

მულტიკულტურალიზმის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს მოსაზრება, რომ კულტურულად განსხვავებული ჯგუფები შესაბამის გარემოში აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებენ. მულტიკულტურული პოლიტიკის ორი ძირითადი ელემენტია: განსხვავებულობის დაფასება, ჯგფური (კოლექტიური) უფლებების დაცვა და მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა საქართველოში 8 ამ ორ პრინციპზე აგებული სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია. მისი მთავარი ამოცანა კი არის დაძლიოს უმრავლესობა—უმცირესობის ურთიერთობებში გაუცხოებისა და უნდობლობის სინდრომი, გააფართოვოს თითოეული მოქალაქის ცნობიერი ,,კულტურული ჰორიზონტი''. მულტიკულტურალიზმი არამარტო იწონებს და ადასტურებს კულტურულ პლურალიზმს, არამედ ცდილობს ხელი შეუწყოს სხვა ეთნიკური და კულტურული ჯგუფების აღიარებასა და პატივისცემას კონკრეტულ სახელმწიფოში. ის გულისხმობს აქტიურ მხარდაჭერას კულტურული განსხვავებულობის და ეწინააღმდეგება მათ მიმართ გამოხატულ ყოველგვარ მტრობასა და უარყოფას, რათა მოხდეს მათი სრული ჩართვა საზოგადოებრივ სფეროში''.

მულტიკულტურალიზმი, როგორც პოლიტიკური ხედვა, წარმოადგენს ერთ–ერთ პასუხს კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების გამოწვევაზე, რომლის წინაშე დადგნენ დასავლეთის ქვეყნები კოლონიალიზმის ეპოქის დასრულების შემდეგ. ეს ქვეყნები თავის დროზე მეტ–ნაკლები ეთნიკური ერთგვაროვნებით ხასიათდებოდა, პოსტკოლონიურ პერიოდში კი მიგრანტთა ტალღებმა ყოფილი კოლონიებიდან, შემდეგ – ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან შეცვალა დემოგრაფიული სურათი, რომელიც კულტურათა მოზაიკის სახით ყალიბდებოდა.[6]

საქართველო მრავალეთნიკური, მრავალკულტურული და მრავალრელიგიური ქვეყანა, კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინია. ესაა, ერთი მხრივ, ისტორიული გამოცდილება, ხოლო, მეორე მხრივ, კი თანამედროვე გამოწვევების ერთგვარი შედეგი. საქართველოს წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლთა ჰარმონიულ ურთიერთობაზე, კულტურის, როგორც საზოგადოებათა მსგავსებისა და განსხვავების საფუძვლის გააზრებაზე, ცოდნა – სტერეოტიპების დაძლევის, კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის დამკვიდრების, კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარის გამომუშავების საფუძველზე. კულტურულ მსგავსებებსა და განსხვავებებს მხოლოდ მაშინ „აღმოვაჩენთ", როცა საკუთარ კულტურას სხვას ვადარებთ. სწორედ ინტერკულტურული დიალოგია პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა კულტურისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენელ ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის შეხედულებათა ღია, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გაზიარებას, რასაც განსხვავებული მსოფლმხედველობის, ცხოვრების წესის გაგებასა და გააზრებამდე მივყავართ. ინტერკულტურული დიალოგის მეშვეობით გავიაზრებთ კულტურათაშორისი ურთიერთობის სირთულეებს; ვაცნობიერებთ, რომ ქცევის წესები, ურთიერთობანი, წარმოდგენები სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარია; ვცდილობთ დავაყენოთ საკუთარი თავი „უცხო" კულტურის წარმომადგენლის ადგილზე.

ამ კუთხით ძალიან სახასიათოა საქართველოში კულტურული დიალოგი: ქრისტიანული, ებრაული და მუსლიმური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა თანამედროვე საქართველოში. ასევე ძალზედ უპრიანია ახალგაზრდობისთვის იმ კულტურის მემკვიდრეობის დაცვის სწავლება, რომელიც შეიძლება აღმოაჩინონ ყველა ოჯახში საკუთარი ოჯახების ჩათვლით. საგულისხმო იქნება თანამედროვე სამუზეუმო იდეის გაცნობაც, რომ მუზეუმი არ განიხილება მხოლოდ, როგორც განძთსაცავი და ის შეიძლება იყოს ახალგაზრდებისა და ზოგადად თემისთვის მნიშვნელოვანი იდეის ირგვლივ სოციალიზაციის ადგილიც.

დღესდღეობით, მრავალი გამოწვევის, კერძოდ, რელიგიური გამოწვევების ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობისათვის სწორი ორიენტირების მიცემა.

ინტერკულტურული დიალოგი კულტურული განათლების მნიშვნელოვანი ასპექტია. ინტერკულტურული დიალოგის გაგებაზე დაფუძნებული განათლება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა კულტურისა და პოლიტიკური შეხედულებების მქონე პიროვნებებს, ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის ღია და პატივისცემით ურთიერთობას. მის მიზნებს შორისაა სხვადასხვა პერსპექტივებისა და პრაქტიკის ღრმა გააზრება; მონაწილეობის ზრდა და არჩევნის თავისუფლება და შესაძლებლობა; თანასწორობა და შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა.

საერთოდ, კულტურა და ხელოვნება ტრადიციულად იყო პოლიტიკური ჩარევის, პროპაგანდისა და იდეოლოგიური დამუშავების საგანი. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს, თუნდაც სულ ახლახანს, როგორ იყენებდნენ კულტურის მემკვიდრეობას პოლიტიკური მიზნებისათვის. კულტურის მემკვიდრეობის ახლებური ხედვა ერწყმის შერიგების, ტოლერანტობისა და პლურალიზმის დემოკრატიულ კულტურას. ასეთი დამოკიდებულება განაპირობებს ეროვნულ სიამაყესა და წარსულზე დაფუძნებული სისტემის ჩანაცვლებას უფრო შემრიგებლური და ტოლერანტული მიდგომით. ეს ხელს შეუწყობს დემოკრატიულ პროცესებს საზოგადოებაში. ამ მხრივ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება შეუწყობს შემრიგებლურ პროცესებს ქვეყნებში, სადაც დღესაც ადგილი აქვს შიდა და გარე კონფლიქტებს, ანუ ნაცვლად გაღვივებისა –კონფლიქტების მოგვარებას.

ლიტერატურა:

1. ქ. კაკიტელაშვილი, გ.ნიჟარაძე, ნ. ჩიქოვანი, ი. ჩხაიძე, მ. ქვრივიშვილი, ი.წერეთელი, მსოფლიო კულტურა, თსუ. 2012,გვ.39-40; კულტურათშორისი სწავლება – T-Kit — Coe, https://rm.coe.int › ..გვ.21;
2. ქ. კაკიტელაშვილი, გ.ნიჟარაძე, ნ. ჩიქოვანი, ი. ჩხაიძე, მ. ქვრივიშვილი, ი.წერეთელი, მსოფლიო კულტურა, თსუ. 2012;გვ.39-40;
3. https://499c.ru/ka/v-chem-smysl-mezhkulturnoi-kommunikacii-mezhkulturnoe-obshchenie-formy/;
4. https://hkls.ru/ka/dizajjner/yazyk-i-mezhkulturnaya-kommunikaciya-vazhnost-i-znachenie.html;
5. Modood/მოდოდი. Multiculturalism, 2007, p.64;
6. კრისტინა ფარინა, კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება საქართველოში , თბ.2017;
7. ნინო ბუჯიაშვილი, მულტიკულტურალიზმის კონცეფცია და კულტურული მრავალფეროვნების იდეის განხორციელება საქართველოში, თბილისი 2018;
8. Chikovani N. For the problems of intercultural and interreligious dialogue in contemporary Georgia. // Culture dialogue and civil consciousness. Caucasus Institute for Peace, Democracy and Development. Tbilisi, 2010, p. 98-104.
9. Banks, J. (1998). Multiculturalism's Five Dimensions. Retrieved from October 1, 2016 from Banks, J. A. (1999). Multiethnic education. Allyn and Bacon, USA.